



# მიზანი, რომელიც შეცვლის ჩვენს მზრუნველობას

მიუხედავად იმისა, რომ მზრუნველობას აქვს მრავალი დანიშნულება, ჩვენი მცდელობები უნდა ნაკარნახევი იყოს სურვილით, დავებმაროთ სხვებს უფრო ღრმად მოექცნენ რწმენაზე და მეტად დაემსგავსონ ქრისტეს.

როცა სხვები მსხნელის მსგავსად გვიყვარს, ჩვენ გვსურს, დავებმაროთ მათ ისე, როგორც იგი ეხმარებოდა მათ. მწყემსი კეთილი არის ჩვენი გააზრებული მზრუნველობის საბოლოო მაგალითი.

როცა ჩვენ მზრუნველობას უფლის მაგალითის მიხედვით ვეწევი, მნიშვნელოვანია, გავსოვდეს, რომ მიხი სიყვარულის, მსახურების, თენზე დაყენებისა და დალოცვის მცდელობებს გაცილებით მაღალი მიზანი ჰქონდა, ვიდრე სასწრაფო საჭიროებების დაკმაყოფილება. რა თქმა უნდა, მან იცოდა მათი ყოველდღიური საჭიროებების შესახებ და უთანაგრძობდა არსებულ გასაჭირში. ასე რომ, იგი კურნავდა, აპურებდა, მიუტყეებდა და ასწავლიდა. მაგრამ მას სურდა, ყოველდღიურ წყურვილის დაკმაყოფილებაზე მეტი გაეკეთებინა (იხ.

იოანე 4:13-14). მას სურდა, რომ მის ირგვლივ მყოფნი გაჰყვნენ მას (იხ. ლუკა 18:22; იოანე 21:22), იცნობდნენ მას (იხ. იოანე 10:14; მოძღვრება და აღთქმები 132:22-24), და მიაღწიონ თავიანთ ღვთიურ პოტენციალს (იხ. მათე 5:48). დღესაც შეიძლება იგივე ითქვას (იხ. მოძღვრება და აღთქმები 67:13).

არსებობს სხვების დალოცვის უამრავი გზა, მაგრამ როცა ჩვენი მზრუნველობის საბოლოო მიზანია, დავებმაროთ სხვებს, შეიცნონ მსხნელი და უფრო დაემსგავსონ მას, ჩვენ ვიმუშავებთ იმაზე, რომ დადგება დღე, როცა არ დაგვჭირდება, ვასწავლოთ მოყვასს, სცნობდნენ უფალს, რადგან ყველა იცნობს მას (იხ. იერემია 31:34).

**მხსნელის მიზანი გადაუდებელი საჭიროებების საზღვრებს სცდებოდა.**

- რამდენიმე ადამიანი დაიღუპა, რათა იესოხთან მიეყვანათ უძლური მეგობარი. ბოლოს მხსნელმა განკურნა ის ადამიანი, მაგრამ მას უფრო მისი ცოდვების მიტევება აინტერესებდა (იხ. ლუკა 5:18-26).
- როცა ხალხმა მხსნელთან მოიყვანა ქალი, რომელსაც მრუშობას დებდნენ ბრალად, ის, რომ იგი არ ჩაერთო მის განკიცხვაში, ქალს, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, სიცოცხლე შეუნარჩუნდა. მაგრამ მას ამ ქალის სულიერი გადარჩენაც სურდა, ამიტომაც უთხრა: „წადი და ამიერიდან ნუღარ მესხცოდავ (იხ. იოანე 8: 2-11).
- მარიამმა და მართამ იესოს ხმა მიაწვდინეს, რომ მოსულიყო და თავისი მეგობარი, ლაზარე, განკურნა. იესომ, რომელმაც სხვები მრავალჯერ განკურნა, დააყოვნა ჩახვლა ლაზარეს გარდაცვალებამდე. იესომ იცოდა, რა სჭირდებოდა იმ ოჯახს, მაგრამ ლაზარეს მკვდრეთით აღდგენით მან გააძლიერა მათი დამოწმებები თავისი ღვთაებრივი წარმომობის შესახებ (იხ. იოანე 11:21-27).

სხვა რა მაგალითებს დაამატებდით ამას?

**რა შეგვიძლია გავაკეთოთ?**

თუ ჩვენი მიზანია, დავეხმაროთ სხვებს, უფრო დაემსგავსონ მხსნელს, ეს შეცვლის ჩვენი მწრუნველობის ხერხს. აი რამდენიმე ხერხი, რომელიც დაგვეხმარება ჩვენი მწრუნველობის მცდელობებში.

**მოსაზრება #1: დაუკავშირეთ მსახურება მხსნელს**

სიკეთის კეთების ჩვენი ყოველი მცდელობა საყურადღებოა, მაგრამ შეგვიძლია, ვეძიოთ საშუალებები, გავადრმაყოთ ჩვენი მსახურება იმით, რომ დაუკავშიროთ იგი მხსნელს. მაგალითად: თუ ოჯახში, რომელსაც მწრუნველობას უწევთ, ავად არიან, შეიძლება სადილის მიწოდება დაეხმაროს მათ, მაგრამ თქვენგან სიყვარულის უბრალო გამოხატვა გაათმაგდება, თუკი დაუმოწმებთ მხსნელის მათ მიმართ სიყვარულის შესახებ. თქვენი დანმარება ეწოში მისახალმებელია, მაგრამ ალბათ უფრო მნიშვნელოვანი განდება, თუკი მას მღვდლობის დალოცვას დაამატებთ.

უსუცესი ნილ ლ. ანდერსენი თორმეტ მოციქულთა ქვრუმიდან გვასწავლიდა: „კეთილი გულის მქონე ადამიანი დაეხმარება სხვას საბურავის გამოცვლაში, მეგობრის ექიმთან წაყვანაში, მოწყენილ ადამიანთან ერთად სამხარზე წავა ან გაუღიმებს და მიესალმება ვინმეს, რათა დღე გაუნათოს.

„მაგრამ პირველი მცნების მიმდევარი ბუნებრივად დაამატებს ყოველივე ამას მსახურების მნიშვნელოვან ქმედებებს“.<sup>1</sup>

**მოსაზრება #2: ფოკუსირება ალტემის გზაზე**

პრეზიდენტმა რასელ მ. ნელსონმა, როცა პირველად მიმართავდა წევრებს ეკლესიის პრეზიდენტის როლში, თქვა: „დარწით ალტემის გზაზე“. ალტემების დადება და მათი დაცვა „გაუნსნის კარს ყოველ სულიერ დალოცვასა და უპირატეხობას“.<sup>2</sup>

ჩვენ, როგორც უკანასკნელ დღეთა წმინდანები, მოვინათლეთ, წევრად დავმტყიცდით და მივიღეთ სულიწმინდის ძღვენი. ღირსეული მამაკაცი წევრები მიიღებენ მღვდლობას. ჩვენ მივდივართ ტაძარში, რათა შევიმოხლოთ და მარადიულად ჩავიბეჭდოთ ოჯახებთან ერთად. ეს ხსნის წეს-ჩვეულებები და მათთან დაკავშირებული ალტემები აუცილებელია ჩვენთვის, რომ დავემსგავსოთ უფალს, რათა შევძლოთ მასთან ყოფნა.

ჩვენ შეგვიძლია, ვითამაშოთ მნიშვნელოვანი როლი სხვების დანმარებაში ამ გზაზე სიარულისას, დავეხმარებით მათ რა ალტემების დაცვაში და მომავალში ალტემების დადებაში.<sup>3</sup> როგორ შეგვიძლია, დაეხმაროთ ცალკეულ პირებს ან ოჯახებს, მიიღონ შემდეგი საჭირო წეს-ჩვეულება? ეს შეიძლება ნიშნავდეს, დაეხმაროთ მამას ქალიშვილის ნათლობისთვის მზადებაში, აუნსნა რა მას შემდეგი ალტემის დალოცვები ან ხიარებისას უფრო მნიშვნელოვანი გამოცდილების მიღების გზები.

**მოსაზრება #3: მოინვიეთ და შეაგულიანეთ**

საჭიროებისას, ითათბირეთ მათთან, ვისზეც წრუნავთ, მათი მოქცევისა და მცდელობების შესახებ, დაემსგავსონ ქრისტეს. დაანახეთ მათ, რომ ხედავთ მათში ძალას და პატივს ხედავთ ამის გამო. გაიგეთ, რისი გაუმჯობესება შეუძლიათ და ისაუბრეთ იმაზე, როგორ შეგვიძლია, დაეხმაროთ მათ. (For more on counseling together with those to whom you minister, see “Counsel about Their Needs,” *Liahona*, Sept. 2018, 6–9.)

ნუ შეგვიმინდებათ, მოიწვიოთ ისინი, მიჰყვინენ მხსნელს და მისცენ მას საშუალება, დაეხმაროს მათ ღვთიური პოტენციალის მიღწევაში. ამ მოწვევამ, შეიძლება მთელი მათი ცხოვრება შეცვალოს, როცა მას თან დაერთვება თქვენი მათი და უფალში რწმენა.

**ექვსი ხერხი, რომლის მეშვეობითაც შეგვიძლია დავეხმაროთ სხვებს ქრისტესთან დაახლოებაში**

ქვემოთ მოყვანილია წინადადებები, რომლებიც დაგეხმარებათ სხვების მხარდაჭერაში და მათ მიერ ალტემის გზაზე წინსვლაში და ცხოვრების გაუმჯობესებაში. (იხ. *იქადაგე ჩემი ხანარება*, თავი 11).

1. გაუნიარეთ. იყავით გულწრფელი და ისაუბრეთ ღიად, როცა უნიარებთ სხვებს, როგორ დაგეხმარათ მხსნელი, როცა ცდილობდით მასთან დაახლოებას ხანარების პრინციპების ცხოვრებით, მიუხედავად უკუხვლეებისა.

2. დაპირდით დალოცვებს. ადამიანებს სჭირდებათ შეცვლისთვის მიწეში, რომელიც უფრო მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე არმეცვლა. მოქმედებასთან დაკავშირებული დალოცვების ანხნას მოაქვს ძლიერი მოტივაცია (იხ. მოძღვრება და აღთქმები 130:20-21).
3. მოიწვიეთ. სახარების პრინციპით ცხოვრებას მოაქვს მიხი ჭეშმარიტების დამოწმება (იხ. იოანე 7:17) და უფრო ღრმა მოქცევა<sup>4</sup> თითქმის ყოველი შეხვედრისას შეგიძლიათ მესთავანით მათ სულ უბრალო რამ, რაც მათ დაეხმარება წინსვლაში.
4. ერთად დაგეგმეთ. რა უნდა მოხდეს მათ ცხოვრებაში, რომ წარმატებით დაიცვან ვალდებულება, შეიცვალონ? როგორ შეგიძლიათ, დაეხმაროთ? ვადა განსაზღვრულია?
5. მხარდაჭერა. იქ, სადაც ეს დაგეხმარებათ, შეიმუშავეთ მხარდაჭერის ქსელი იმ ადამიანებისგან, რომლებიც დაეხმარებიან ცალკეულ პირებს, დარჩნენ მოტივირებულნი და წარმატებულნი. ჩვენ ყველას გვჭირდება მხარდაჭერა ლიდერი.
6. შემდგომი კონტროლი. რეგულარულად გააზიარეთ წინსვლა. დარჩით ფოკუსირებულნი გეგმასზე, მაგრამ საჭიროებისას სრულყოფით იგი. იყავით მომთმენნი, შეუპოვარნი და გამმხნეველებნი. ცვლილებას შეიძლება დასჭირდეს დრო.

## მონვევა მოქმედებისკენ

დათვიქრდით, როგორ შეუძლია თქვენს მცირე და დიდ ძალისხმევებს დაეხმარონ სხვებს, გააღრმავონ მათი მოქცევა და უფრო დაემსგავსონ მსხნელს.

სტატიები „მზრუნველობის პრინციპები“ უნდა გვეხმარებოდეს, ვისწავლოთ ერთმანეთზე ზრუნვა და ეს არ უნდა მოხდეს ჩვენი ვიზიტის დროს გზავნილის გაზიარების სახით. როცა მათზე, ვისზეც ვზრუნავთ, გაცნობის პროცესში ვართ, სულიწმინდა გვიკარნახებს, რა გზავნილი შეიძლება დასჭირდეთ მათ ჩვენი ზრუნვისა და თანაგრძნობის გარდა.

## შენიშვნები

1. Neil L. Andersen, “A Holier Approach to Ministering” (Brigham Young University devotional, Apr. 10, 2018), 3, speeches.byu.edu.
2. Russell M. Nelson, “As We Go Forward Together,” *Liahona*, Apr. 2018, 7.
3. იხ. Henry B. Eyring, “Daughters in the Covenant,” *Liahona*, May 2014, 125–28.
4. See David A. Bednar, “Converted unto the Lord,” *Liahona*, Nov. 2012, 106–109.